საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 30 მარტის
№224 დადგენილება

2010-2011 სასწავლო წლისათვის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ

„ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე და ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის 2010-2011 სასწავლო წლისათვის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის რეგისტრაციის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 15 მარტის №190, „2010 წელს საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადის დადგენის შესახებ" და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 22 მარტის №77-10 ბრძანებების საფუძველზე აკადემიური საბჭო **ადგენს:**

1. 2010-2011 სასწავლო წლისათვის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს თანდართული დანართის (25 ფურცელი) შესაბამისად – 839 ადგილით.

2. დამტკიცდეს 2010 წელს მისაღები სასპეციალიზაციო საგამოცდო საგნები სამაგისტრო პროგრამებისათვის და საერთო სამაგისტრო და მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდების კოეფიციენტები და მაგისტრატურაში 2010-2011 სასწავლო წელს სწავლის წლიური გადასახადის ოდენობა ფაკულტეტების მიხედვით თანდართული დანართის (21 ფურცელი) შესაბამისად.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე